## საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

## ბრძანება №255

თბილისი „26" 09 2018 წ.

**2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა/ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის თაობაზე**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ლ" ქვეპუნქტების, „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 20 სექტემბრის N1173288 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2018 წლის შემოდგომაზე ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე აპლიკანტთა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რეგისტრაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულის/ქულების შენახვის მიზნით რეგისტრაციის ვადა დადგინდეს 2018 წლის 03 ოქტომბრიდან 2018 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.
2. დაევალოს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი